23/11/2020

უნეტარესმა ანასტასიოსმა კორონავირუსი დაამარცხა

დღეს, 23 ნოემბერს, თორმეტდღიანი მკურნალობის შემდეგ, სრულიად ალბანეთის უნეტარესი მთვარეპისკოპოსი ანასტასიოსი ათენის საავადმყოფოს დატოვებს. უნეტარესი ანასტასიოსი კორონავირუსისგან განიკურნა და იგი სამშობლოში თავის მწყემსმთავრულ მსახურებასა და მოვალეობას დაუბრუნდება.

უნეტარესი მთავარეპისკოპოსი ანასტასიოსი 91 წლისაა. იგი მსოფლიოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს შორის ასაკით ყველაზე უხუცესია. ის ალბანეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურია 1992 წლიდან.

wenews.ge